სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/200

ქ. თბილისი 29 დეკემბერი 2025წ

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) კარლო კოპალიანის 2025 წლის 27 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 დეკემბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს წინადადება - უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების:

ა) შესყიდვების დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურად გარდაქმნის თაობაზე;

ბ) აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის განყოფილების აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ცენტრად გარდაქმნის თაობაზე;

გ) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს დაემატოს დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ერთი საშტატო ერთეული;

დ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს დაემატოს სამსახურის უფროსის მოადგილის ერთი საშტატო ერთეული.

2. მოწონებული იქნეს შესყიდვების სამსახურის, დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისა და აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ცენტრის დებულებები და წარმოდგენილი ცვლილებები უნივერსიტეტის სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში (დანართები).

3. წინადადება ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით და შესაბამისი დებულებების, სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის პროექტები დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) უნივერსიტეტის ერთიან საშტატო ნუსხაში ასახვის მიზნით.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**